



თბილისი კაპიტალი

# ზოგადი განათლება საქართველოში

ივნისი 2023

ია კაცია

უფროსი ასოცირებული მკვლევარი

ირაკლი ურგებაშვილი

ანალიტიკოსი, მკვლევარი

მარიამ ცინცაბაძე

უმცროსი ანალიტიკოსი, მკვლევარი

ირინე კვახაძე

ვიცე პრეზიდენტი, მკვლევარი

# შინაარსი

## შეჯამება

### ზოგადი განათლების მიმოხილვა

- მიწოდება
- მოთხოვნა
- საბაზრო ფაქტორები
- ფინანსური მაჩვენებლები
- ბაზრის ზომა

# შეტამება

ზოგადი განათლება საქართველოში მოიცავს 12 წელს და სამ საფეხურად ნაწილდება (დანყებიითი, საბაზო, საშუალო). დანყებიითი და საბაზო განათლება საქართველოში სავალდებულოა. ბაზარზე ძირითადი მიმწოდებელი სახელმწიფოა, რომელიც სრულად აფინანსებს საჯარო სკოლებს.

ზოგადი განათლების დაფინანსება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მთლიანი ბიუჯეტის ნახევარზე მეტს შეადგენს და მისი წილი მთლიან ბიუჯეტში სულ უფრო იზრდება, 2023 წელს 1,3 მილიარდილარი შეადგინა რაც 14%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

ზოგადი განათლების ბაზრის მთლიანი ღირებულება 2023 წელს 1,5 მილიარდ ლარს აღემატება და ზრდაა მოსალოდნელი მომდევნო წელსაც, 11%-იანი წლიური ზრდის ტემპით.

კერძო სკოლების ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით, მათი შემოსავლები მნიშვნელოვნად იზრდებოდა 2018-2021 წლების პერიოდში. 2021 წლის ბოლოსთვის, ჯამურმა წლიურმა შემოსავალმა 176 მილიონ ლარს მიაღწია. კერძო სკოლების საშუალო EBITDA მარჯა სტაბილურია, თუმცა 2020 წელს მარჯამ 25%-ს მიაღწია, რაც აღნიშნულ პერიოდში სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის შედეგად შემცირებული საოპერაციო ხარჯებით აიხსნება. რაც შეეხება წმინდა მოგების მარჯას 2020 წელს 13%-დან 10%-მდე შემცირდა წინა წელთან შედარებით. 2021 წელს გაზრდილი წმინდა მოგების შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებელი მაღალ ნიშნულს, 18%-ს დაუბრუნდა.

2022/2023 სასწავლო წელს 2086 საჯარო და 216 კერძო სკოლა ფუნქციონირებდა საქართველოში. საჯარო სკოლების რაოდენობა თითქმის უცვლელია, ხოლო კერძო სკოლების რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში კლებულობს. პანდემიის მიერ შექმნილი გამოწვევების, მაღალი ფიქსირებული ხარჯებისა და მაღალი კონკურენციის პირობებში, ზოგიერთმა კერძო სკოლამ დატოვა ბაზარი ან შეუერთდა სხვა სკოლას, რამაც საერთო ჯამში კერძო სკოლების რაოდენობის შემცირება გამოიწვია. 2018 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, კერძო სკოლების წილი სკოლების ჯამურ რაოდენობაში სტაბილურად 10%-ს შეადგენდა, ხოლო 2022 წელს 9%-მდე შემცირდა.

საჯარო სკოლებთან შედარებით მოთხოვნა კერძო სკოლებზე ბოლო წლების განმავლობაში მეტად მზარდია. გამონაკლისი იყო პანდემიური წელი, როდესაც ლარის სწრაფად გაუფასურებამ ზოგიერთი კერძო სკოლის ინდექსირებული სწავლის საფასური მკვეთრად გაზარდა, მეორე მხრივ კი, მოსახლეობის შემოსავლების შემცირებამ მოსწავლეთა საჯარო სექტორში დენადობას შეუწყო ხელი. პანდემიური წლის შემდეგ შეინიშნება მოსწავლეთა რაოდენობის აღდგენა კერძო სკოლებში.

კერძო სკოლების ფასი მზარდია და 2022/2023 სასწავლო წელს საშუალოდ 6 500 ლარი შეადგინა. მომდევნო წელსაც მოსალოდნელია ფასების 5-10%-იანი ზრდა.

მოსახლეობის შემოსავლების ანალიზმა აჩვენა, რომ საშუალოდ ქართული ოჯახი 2023 წელს, თავისი შემოსავლის დაახლოებით 37%-ს ხარჯავს კერძო სკოლის გადასახადში. ბოლო 5 წლის განმავლობაში, ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო 2020-პანდემიურ წელს, რაც შემცირებული შემოსავლებით აიხსნება. ბოლო ორი წელი ხელმისაწვდომობა კერძო სკოლებზე გაზრდილია. იქედან გამომდინარე, რომ სწავლის საფასური არ შემცირებულა, კერძო სკოლებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა გაზრდილი საშუალო შემოსავლებით აიხსნება.



თიბისი კაპიტალი

# ზოგადი განათლება მინოდება: კერძო სკოლები

საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები იყოფა კერძო და საჯარო სკოლებად. ბაზარზე ძირითადი მიმწოდებელი სახელმწიფოა, რომელიც სრულად აფინანსებს საჯარო სკოლებს. გაანალიზებულ პერიოდში საჯარო სკოლების რაოდენობა მხოლოდ ერთხელ, 1 ერთეულით შეიცვალა 2019-2020 სასწავლო წელს.

კერძო სკოლები ბაზრის შედარებით მცირე ნაწილს წარმოადგენენ, მათი რაოდენობის ცვლილება კი წლების განმავლობაში საჯარო სკოლებთან შედარებით მეტად თვალსაჩინოა. 2018 წელს კერძო სკოლების რაოდენობა 223-დან 228-მდე გაიზარდა, ხოლო მომდევნო წლებში კლებადი ტრენდი ფიქსირდება. 2022-2023 სასწავლო წლისთვის ბაზარზე ფუნქციონირებდა 216 კერძო სკოლა.


აღნიშნული კლება დიდწილად გამოწვეულია ბაზარზე არსებული კონკურენციითა და მზარდი ფიქსირებული ხარჯებით, რაც დიდ სირთულეს წარმოადგენს მცირე ზომის, დაბალი ან საშუალო საფასო კატეგორიის კერძო სკოლებისთვის. აღნიშნული სკოლებისთვის წლიური შემოსავალი არასაკმარისია მზარდი ფიქსირებული ხარჯების დასაფარად.

ასევე აღსანიშნავია რომ მათთვის, სირთულეს წარმოადგენს როგორც მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა, ასევე სწავლის წლიური საფასურის ზრდა, ვინაიდან მსგავსი ცვლილება წინაპირობად საჭიროებს სკოლის მიერ მინოდებული სერვისის ხარისხისა გაუმჯობესებას, რაც დიდ ხარჯებთან და დროსთანაა დაკავშირებული. მცირე ზომის კერძო სკოლების ნაწილისთვის ასევე დიდ გამოწვევად დარჩა პანდემიის შედეგად ბაზარზე გაჩენილი ახალი მოთხოვნები, რომელთა დაძლევა შეუძლებელი აღმოჩნდა რიგი სკოლებისთვის.


პანდემიის მიერ შექმნილი გამოწვევების, მაღალი ფიქსირებული ხარჯებისა და მაღალი კონკურენციის პირობებში, ზოგიერთმა კერძო სკოლამ დატოვა ბაზარი, ან შეუერთდა სხვა სკოლას, რამაც, საერთო ჯამში, კერძო სკოლების რაოდენობის შეამცირა.

2018 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, კერძო სკოლების წილი სკოლების ჯამურ რაოდენობაში სტაბილურად 10%-ს შეადგენდა, ხოლო 2022 წელს ის 9%-მდე შემცირდა. 2019/2020 სასწავლო წელს კერძო სკოლებში ირიცხებოდა მოსწავლეთა 11%, რაც გაანალიზებულ პერიოდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

გრაფიკი 1. სკოლების რაოდენობა საკუთრების ფორმის მიხედვით



გრაფიკი 2. კერძო სკოლების ბაზრის წილი



წყარო: საქსტატი, 2023

# ზოგადი განათლება

## მინოდება: მოსწავლეები

2018 წელს კერძო სკოლების რაოდენობა 2%-ით, ხოლო მათში მოსწავლეების რაოდენობა - 6%-ით გაიზარდა წინა წელთან მიმართებაში. პანდემიის პერიოდში კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა, რაც მეტწილად აიხსნება შინამეურნეობების შემოსავლების კლებითა და ეკონომიკური არასტაბილურობის ფონზე მომხმარებელთა შეცვლილი მოლოდინებით.


მოსწავლეების და სკოლების რაოდენობა 2021/2022 სასწავლო წლისთვის იგივე დარჩა, თუმცა 2023 წელს კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა წლიურად 6%-ით გაიზარდა. აღნიშული ზრდის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს როგორც შინამეურნეობების გაზრდილი შემოსავლები, ასევე პანდემიის შედეგად კიდევ უფრო გამოკვეთილი განსხვავება კერძო და საჯარო სკოლების მიერ მიწოდებული სერვისებისა და მათ ხარისხებს შორის.

2022/2023 სასწავლო წელს კერძო სკოლების რაოდენობა შემცირდა.


სკოლების რაოდენობის კლებისა და მოსწავლეების რაოდენობის ზრდის შედეგად, აღნიშნულ პერიოდში დაფიქსირდა მოსწავლეების ყველაზე მაღალი საშუალო რაოდენობა კერძო სკოლაში, სადაც ერთ კერძო სკოლაში საშუალოდ 295 მოსწავლე ირიცხება. ეს აღემატება საჯარო სკოლის საშუალო მაჩვენებელს, რომელიც 273-ს უტოლდება.

კერძო სკოლებზე გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად მინოდება შეიძლება გაიზარდოს ორი გზით: როგორც არსებული კერძო სკოლების მიერ მისაღები მოსწავლეების რაოდენობის გაზრდით, ასევე ფილიალების დამატებით ან ბაზარზე ახალი კერძო სკოლების შემოსვლით. მოსწავლეების მიღების გაზრდა, განსაკუთრებით, როცა სკოლა სრული დატვირთვით ფუნქციონირებს, ისევე როგორც სკოლის/ახალი ფილიალის გახსნა დიდ კაპიტალურ ხარჯებთან და დროსთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, კერძო სკოლების მინოდება მოკლე პერიოდში არაელასტიკურობით ხასიათდება.

გრაფიკი 3. კერძო სკოლების წლიური ზრდა



გრაფიკი 4. მოსწავლეების საშუალო რაოდენობა სკოლებში საკუთრების ფორმის მიხედვით




# ზოგადი განათლება

## მინოდება: მასწავლებლები

მასწავლებელთა რაოდენობა და მათი დინამიკა ზოგადი განათლების სექტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. დასაქმებული მასწავლებლების რაოდენობა 2019 წლიდან მცირდება, რაც გარკვეულწილად ამავე წელს გატარებული განათლების რეფორმით აიხსნება, რომელიც საპენსიო ასაკის მასწავლებლებს აძლევდა საშუალებას შეენწყვიტათ პროფესიული საქმიანობა და მიეღოთ ერთჯერადი ფულადი ჯილდო, რომელიც მათი ორი წლის ჯამურ ხელფასს შეადგენდა.

კერძო სკოლებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს კვალიფიციური კადრების პოვნა და მათთან თანამშრომლობა. გარდა ბაზარზე კვალიფიციური კადრების სიმცირისა, კერძო სკოლებისთვის გართულდა კონკურენციის განევა საჯარო სკოლების მიერ გაცემულ შრომის ანაზღაურებასთან, რომელიც მასწავლებლებს თავიანთი სტატუსის შესაბამისად მნიშვნელოვნად გაზრდილ ხელფასს სთავაზობს.

გრაფიკი 5. მასწავლებლების ჯამური რაოდენობა ('000)




წყარო: საქსტატი, 2023

კერძო სკოლების დიდი ნაწილი ვერ ახერხებს იდენტური ანაზღაურების შეთავაზებას, რამაც გამოიწვია კერძო სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა საჯარო სკოლაში გადასვლა. შესაბამისად, მასწავლებელთა რაოდენობამ მეტად დაიკლო კერძო სკოლებში. განათლების სამინისტროს მიერ დანერგილმა ახალმა სახელოფასო სისტემამ საჯარო სკოლებს აარიდა კადრების დეფიციტი, რომელიც პედაგოგების სამუშაო ძალიდან გასვლას უნდა გამოეწვია და მან ძირითადად გავლენა იქონია კერძო სკოლებზე.

მასწავლებელთა რაოდენობის შემცირება კერძო სკოლებში ასევე გარკვეულწილად აიხსნება კერძო სკოლების რაოდენობის კლებით.

კერძო სკოლებში, საერთო ჯამში მასწავლებელთა რაოდენობა 2022 წელს 20%-ით შემცირდა. იმავე პერიოდში, საჯარო სკოლებში მასწავლებელთა რაოდენობა კი 3%-ით გაიზარდა.

გრაფიკი 6. მასწავლებელთა რაოდენობის წლიური ცვლილება კერძო და საჯარო სკოლებში



# ზოგადი განათლება


## მოთხოვნა: მოსწავლეები

მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად მზარდია და 2022/23 სასწავლო წელს 633.3 ათასს მიაღწია, ხუთწლიან პერიოდში კი კუმულატიური წლიური ზრდის ტემპმა 2% შეადგინა.


2022/23 სასწავლო წლის სტატისტიკის მიხედვით, 569.6 ათასი მოსწავლე (89.9%) საჯარო სკოლაში სწავლობს, ხოლო 63.7 ათასი (10.1%) კერძო სკოლას ანიჭებს უპირატესობას.

მოსწავლეთა წილობრივი გადანაწილებით თბილისის ლიდერობს 35%-იანი მაჩვენებლით, იმერეთი 13%-იანი წილით მეორე ადგილს, ხოლო ქვემო ქართლი 12%-ით მესამე ადგილს იკავებს. რეგიონების წილობრივი გადანაწილების ცვლილება წლების განმავლობაში უმნიშვნელოა.

გრაფიკი 7. მოსწავლეთა რაოდენობა კერძო და საჯარო სკოლებში და მათი წილობრივი გადანაწილება ('000)



გრაფიკი 8. მოსწავლეთა წილობრივი გადანაწილება რეგიონების მიხედვით, 2022/23 წელი



წყარო: საქსტატი, 2023


შენიშვნა: სხვა მუნიციპალიტეტები მოიცავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას დაქვემდებარებულ სკოლებს, გურიას, მცხეთა-მთიანეთს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს და სამცხე-ჯავახეთს.

# ზოგადი განათლება

## მოთხოვნა: რეგიონები

რეგიონების მიხედვით ბოლო ხუთწლიან პერიოდში, მოსწავლეთა რაოდენობის ყველაზე მაღალი, 14.9%-იანი ზრდა აჭარაში ფიქსირდება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა საჯარო სკოლებზე მოდის, ხოლო კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება ფიქსირდება. მეორე ადგილს თბილისი იკავებს ზრდის 11.9%-იანი მაჩვენებლით, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლებში. ქალაქების მხრივ, მოსწავლეთა რაოდენობა ყველაზე სწრაფად ქალაქ ბათუმში


გრაფიკი 9. მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება შერჩეული ქალაქების მიხედვით (წ/წ)



იზრდება და 2022/23 სასწავლო წლისთვის 39.4 ათას მოსწავლეს მიაღწია, რაც ხუთწლიან პერიოდში 5.8%-იანი კუმულატიური წლიური ზრდაა.


აღსანიშნავია, რომ კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა აჭარაში, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში 2020-2021 წლებში შემცირდა, რაც, სავარაუდოდ, პანდემიურ პერიოდში მოთხოვნის კლებით აიხსნება. 2022 წელს უკვე შესამჩნევია აღდგენა, რაც მოსალოდნელია რომ მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

გრაფიკი 10. კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა




გრაფიკი 11. მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება 2018/19-2022/23 სასწავლო წლებში

კერძო სკოლები



გრაფიკი 12. მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება 2018/19-2022/23 სასწავლო წლებში

საჯარო სკოლები





# ზოგადი განათლება


## მოთხოვნა: მოსწავლეები კლასების მიხედვით

საჯარო სკოლებთან შედარებით მოთხოვნა კერძო სკოლებზე ბოლო წლების განმავლობაში მეტად მზარდია. გამონაკლისია პანდემიური წელი, როდესაც ლარის სწრაფად გაუფასურებამ ზოგიერთი კერძო სკოლის ინდექსირებული სწავლის საფასური მკვეთრად გაზარდა, მეორე მხრივ კი, მოსახლეობის შემოსავლების შემცირებამ მოსწავლეთა საჯარო სექტორში დენადობას შეუწყო ხელი. პანდემიური წლის შემდეგ შეინიშნება მოსწავლეთა წილის ზრდა კერძო სკოლებში.


საჯარო სკოლებზე მოთხოვნა, კერძო სკოლებთან შედარებით, დაბალი ტემპით იზრდება. საჯარო სკოლებზე მოთხოვნას საბაზისო განათლების მიღების ვალდებულება ქმნის, ხოლო მათი ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობა მშობლებისთვის დამატებითი ფაქტორია.

გრძელვადიან პერიოდში მცირდება კერძო სკოლების რაოდენობა, თუმცა, მიუხედავად ამისა, კერძო სექტორში მოსწავლეთა წილის ზრდა ფიქსირდება. კერძო სკოლებზე მოთხოვნას ბაზარზე, ძირითადად, განათლების შედარებით მაღალი ხარისხი, ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა და მათ მიერ შემოთავაზებული დამატებითი სერვისები განაპირობებს.


გრაფიკი 13. მოსწავლეთა წილი კერძო სკოლებში (მარცხ. ღერძი) და კერძო სკოლების რაოდენობა (მარჯვ. ღერძი)



გრაფიკი 14. მოსწავლეთა რაოდენობა საჯარო სკოლებში სწავლის საფეხურის მიხედვით ('000) და წლიური ზრდის ტემპი



გრაფიკი 15. მოსწავლეთა რაოდენობა კერძო სკოლებში სწავლის საფეხურის მიხედვით ('000) და წლიური ზრდის ტემპი



# ზოგადი განათლება

## მოთხოვნა: მოსწავლეთა გადანაწილება

## და მასწავლებელთა

სკოლებში მოსწავლე-მასწავლებლის თანაფარდობა განსხვავებულია ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით. საშუალოდ ევროკავშირის კერძო სკოლებში მოსწავლე-მასწავლებელთა თანაფარდობა 15,1-ია. მაგალითისთვის, მოსწავლე-მასწავლებელთა თანაფარდობა საბერძნეთში 10,4-ია, ლატვიაში 11,4, ლიტვაში - 12,2, ხოლო მალტაში მაქსიმალური 21,6.


ერთ მასწავლებელზე მოსწავლეთა რაოდენობა საჯარო სკოლებში მზარდია და 2022/2023 წლებში 13%-ით აღემატება 2018/2019 წლის მაჩვენებელს. ზრდა აიხსნება 2019 წელს მასწავლებელთა რაოდენობის შემცირებით და ასევე ყოველწლიურად მოსწავლეთა რაოდენობის ზრდით.

საქართველოს შემთხვევაში მოსწავლე მასწავლებლის თანაფარდობა 10-ია 2022/2023 წლებში. რეგიონების მიხედვით სკოლის ზომა და კლასში მოსწავლეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება. მოსახლეობის კლებამ, განსაკუთრებით სოფლად, გამოიწვია შედარებით პატარა (მოსწავლეთა რაოდენობით) სკოლების მომრავლება (სკოლების 65%-ში ირიცხება მოსწავლეთა 25%-ზე ნაკლები). მეორეს მხრივ, ურბანიზაციამ განაპირობა ის, რომ ქვეყნის სკოლების 15%-ში ირიცხება სტუდენტების დაახლოებით ნახევარი. (MoESCS, 2018ს)

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ მასწავლებელზე მოსწავლეთა რაოდენობა უფრო მაღალი ტემპით იზრდებოდა კერძო სკოლებში და 2022/2023 წელს გადაასწრო საჯარო სკოლების მაჩვენებელს და ერთ მასწავლებელზე კერძო სკოლებში 11.3 მოსწავლე მოდის. ზრდა შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა: ბოლო წლებში კერძო სკოლების გაერთიანებამ და გამსხვილებამ, კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის ზრდამ, ასევე, ბოლო წლებში, საჯარო სკოლების მხრიდან გაზრდილმა კონკურენციამ კადრების მოზიდვის კუთხით, შეამცირა მასწავლებელთა რაოდენობა კერძო სკოლებში.

მოსწავლეებისა და მასწავლებლების თანაფარდობა კლასში, ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნის მასშტაბით.

გრაფიკი 16. ერთ მასწავლებელზე მოსწავლეთა რაოდენობა



წყარო: საქსტატი, 2023

# საბაზრო ფაქტორები

## სახელმწიფო დანახარჯები: განათლების სექტორი

ზოგად განათლებას, კანონით დადგენილი წესით, სრულად აფინანსებს სახელმწიფო ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით.

2023 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით ცვლილებები შევიდა სკოლების დაფინანსებაში და დაფინანსება მერყეობს 504-852 ლარის ფარგლებში. სკოლებს თანხები ენიჭებათ ფორმულის საფუძველზე, რომელიც ძირითადად მორგებულია სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობაზე და სკოლის მდებარეობაზე.

საჯარო სკოლებს სტანდარტული ვაუჩერის გარდა განესაზღვრებათ საბაზო დაფინანსება, რომელიც 45000-დან 94000 ლარამდე მერყეობს.

ბოლო წლების განმავლობაში განათლების სამინისტროს ბიუჯეტი მზარდი ტრენდით ხასიათდება და 2023 წელს ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია წინა წლებთან შედარებით.


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი 20%-ით გაიზარდა 2023 წელს წინა წელთან მიმართებაში. ძირითადად ცვლილებები მოიცავს ხელფასების მატებას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

ზოგადი განათლების დაფინანსება სამინისტროს მთლიანი ბიუჯეტის ნახევარზე მეტს შეადგენს და მისი წილი მთლიან ბიუჯეტში სულ უფრო იზრდება, 2023 წელს 66%-იან ნიშნულს მიაღწია. სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაფინანსება 2006-დან 2019 წლამდე დაახლოებით 3,5-ჯერ გაიზარდა.

რაც შეეხება უმაღლეს და პროფესიულ განათლების წილს მთლიან ბიუჯეტში, მათი წილი შედარებით დაბალია და 2023 წელს 7% და 4% შეადგენდა, შესაბამისად.

რაც შეეხება კერძო სკოლებს, ვაუჩერის ოდენობა განისაზღვრა 300 ლარით, რაც კერძო სკოლების შემოსავლების 5-10%-ია (Matsne.gov.ge).

გრაფიკი 17. განათლების სექტორის საბიუჯეტო პროგრამები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2023


# საბაზრო ფაქტორები

## სახელმწიფო დანახარჯები: მშპ და ინვესტიციები

მშპ-ში განათლების სექტორის წილი მცირედით მერყეობს, და საშუალოდ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, 4.5% შეადგინა. რაც შეეხება სახელმწიფო დანახარჯებს განათლებაზე, მთლიანი დანახარჯების 11.5% შეადგინა 2021 წელს. შედარებისთვის იმავე მაჩვენებელი სომხეთისთვის 8.3%-ია, აზერბაიჯანისთვის - 11.5%, უკრაინისთვის კი - 18.7%.

განათლების სტრატეგია 2019-2022 წლებისთვის მიზნად ისახავდა განათლებაზე სახელმწიფო

გრაფიკი 18. განათლების სექტორის წილი მშპ-ში




დანახარჯების გაზრდას მშპ-ს 4%-მდე 2022 წლისთვის.


მიუხედავად იმისა რომ 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში განათლების სექტორის დაფინანსება გაიზარდა, განათლების სახელმწიფო ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით დაბალია ევროპულ სტანდარტებთან შედარებით.

რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების წილს მთლიან ინვესტიციებში, სტაბილურად 1% ირგვლივ მერყეობს.

გრაფიკი 19. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განათლებაში და წილი მთლიან ინვესტიციებში



გრაფიკი 20. სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე, მთლიანი მშპ-ის წილი (2020-21 წელი)



# საბაზრო ფაქტორები


## მიგრაცია და შობადობის მაჩვენებელი

განათლებაზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია მიგრაცია, განსაკუთრებით სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვების.

2022 წელს მნიშვნელოვნადაა გაზრდილი სკოლამდელი და სკოლის ასაკის იმიგრანტთა რაოდენობა, რაც უმეტესწილად რუსეთ-უკრაინის ომის გავლენით აიხსნება. სკოლამდელი ასაკის იმიგრანტთა რაოდენობა გაზრდილია 146%-ით, ხოლო სკოლის ასაკის 180%-ით 2022 წელს, წინა წელთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ 2022/2023 სასწავლო წელს კერძო სკოლებში 1-6 კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა 7%-ით, ხოლო 7-9 კლასებში 13%-ით გაიზარდა, წინა წელთან შედარებით.

გრაფიკი 21. სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ემიგრანტთა და მიგრანტთა რაოდენობა




სკოლებზე მნიშვნელოვანად მოთხოვნას შობადობა ქვეყანაში. შობადობის მაჩვენებელს კლებადი ტრენდი აქვს და 2022 წელს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ბოლო 10 წლის განმავლობაში.


პირველ კლასში ჩარიცხვის მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო 2020 და 2021 წლებში.

აღსანიშნავია, რომ პირველ კლასში ჩარიცხვის ტრენდი განსხვავებულია საჯარო და კერძო სკოლებისათვის. თუ საჯარო სკოლებში პირველკლასელთა მიღების ტრენდი დაღმავალია, კერძო სკოლებზე მოთხოვნა მზარდია თუ არ გავითვალისწინებთ პანდემიურ წლებს. 2022/2023 წლებში პირველკლასელთა, ყველაზე მეტი-18% ჩარიცხვა კერძო სკოლებში.

გრაფიკი 22. ახალშობილთა რაოდენობა წლების მიხედვით



გრაფიკი 23. პირველკლასელთა რაოდენობა



# საბაზრო ფაქტორები


## განათლების ხარისხი

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, კერძო სკოლებში ჩარიცხვა იზრდება განვითარებად ქვეყნებში, განსაკუთრებით დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, სადაც ხშირად შეზღუდულია ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა. საშუალოდ მსოფლიოში კერძო სკოლებში ჩარიცხული მოსწავლეების წილი მთლიან ჩარიცხვებში 2010 წელს 2021 წელთან შედარებით 15%-დან 19%-მდე გაიზარდა.

კერძო სკოლებში მოსწავლეების ჩარიცხვის მაჩვენებლით საქართველო ჩამორჩება მსოფლიოს, ევროკავშირის ქვეყნების(16%), საშუალო და დაბალშემოსავლიანი ქვეყნების(20%) და მაღალშემოსავლიანი ქვეყნების მაჩვენებელს (14%).

განათლების ხარისხის შეფასების მნიშვნელოვანი ინდიკატორია PISA-ს საერთაშორისო ტესტი.

გრაფიკი 24. კერძო სკოლებში ჩარიცხული მოსწავლეების წილი მთლიან ჩარიცხვებში, 2021 წელი




2018 წლის PISA-ს შედეგების მიხედვით, საქართველომ 79 მონაწილე ქვეყანას შორის 64-ე ადგილი დაიკავა კითხვაში, 67-ე მათემატიკაში და 56-ე ადგილზე მეცნიერებაში. საქართველოს საშუალო ქულა სამივე საგანში OECD-ის საშუალოზე დაბალი იყო.

მოსწავლეთა მიღწევები განსხვავდება მათი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის და სკოლის ტიპის მიხედვით. კერძოდ, უკეთესი საშუალო მაჩვენებელია დაფიქსირებული ქალაქად, ვიდრე სოფლად.

მიუხედავად სახელმწიფო დანახარჯების ზრდისა განათლებაში, კერძო და საჯარო სკოლებს შორის სხვაობა უცვლელი რჩება ბოლო 10 წლის განმავლობაში. კერძო სკოლებმა საქართველოს საჯარო სკოლებზე უკეთესი შედეგი დააფიქსირა ტესტირების ყველა პარამეტრში.

გრაფიკი 25. PISA-ს შედეგები, 2018 წელი



წყარო: OECD, NAEC, 2023

# საბაზრო ფაქტორები კერძო სკოლები თბილისში

როგორც უკვე აღინიშნა, კერძო სკოლებზე მოთხოვნა ყველაზე მაღალია დედაქალაქში.

თბილისის ყველა უბანში საჯარო სკოლების რაოდენობა აღემატება კერძო სკოლების რაოდენობას. გამონაკლისია ვაკე-საბურთალოს რაიონი სადაც 49 კერძო და 32 საჯარო სკოლაა განლაგებული. ასევე, შედარებით მაღალია კერძო სკოლების რაოდენობა გლდანი-ნაძალადევის რაიონში.


2021 წელს თბილისის კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა, რაც პანდემიური პერიოდით აიხსნება, თუმცა 2022 წელს მოსწავლეთა

რაოდენობამ აღდგენა დაიწყო და თითქმის მიუახლოვდა პანდემიამდელ დონეს.


მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა ყველაზე მაღალია ძველი თბილისისა და ვაკე-საბურთალოს უბნებში 2018 წელთან შედარებით, 26% და 20%-ით, შესაბამისად.

მიუხედავად მოსწავლეთა რაოდენობის ზრდისა, კერძო სკოლების რაოდენობა არ გაზარდოდა. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლები მოსწავლეთა გაზრდილი რაოდენობის მიღებას ჯერ-ჯერობით შიდა რესურსით ახერხებენ.

გრაფიკი 26. კერძო და საჯარო სკოლების რაოდენობა თბილისის უბნების მიხედვით, 2021 წელი



გრაფიკი 27. კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა თბილისის უბნების მიხედვით



წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი კაპიტალი, 2023


# საბაზრო ფაქტორები

კერძო სკოლებზე მოთხოვნის დასადგენად თბილისში შევაფასეთ მოსახლეობის რაოდენობა უბნების მიხედვით.


ერთ სკოლაზე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მონიშნავთ ისანი-სამგორის რაიონი, სადაც ერთ კერძო სკოლაზე 19 974 ადამიანი მოდის, 2021 წლის მონაცემებით. ასევე, მაღალია მაჩვენებელი გლდანი ნაძალადევის და დიდუბე-ჩუღურეთისთვის, სადაც ერთ სკოლაზე მოდის 14 453 და 11 176 ადამიანი, შესაბამისად.

იგივე მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ვაკე-საბურთალოს უბნისთვის, სადაც და ერთ სკოლაზე მოდის 5 811 მოსახლე

**გრაფიკი 28.** ერთ სკოლაზე მოსახლეობის რაოდენობა თბილისის უბნების მიხედვით, 2021 წელი



**გრაფიკი 29.** ტრანზაქციების მოცულობა ერთ ბარათზე\*




მოდის, რასაც ამ უბნებში კერძო სკოლების სიმრავლე განაპირობებს.

სავარაუდოა, რომ ეს მაჩვენებლები შეიცვალა 2022 წელს მიგრანტების მაღალი ტალღის გამო და მოსახლეობის კიდევ უფრო დიდი რაოდენობა მოდის ერთ კერძო სკოლაზე.

მოსახლეობის რაოდენობის შეფასებასთან ერთად მნიშვნელოვანია მოსახლეობის გადახდისუნარიანობის შეფასება. გაანალიზებულ პერიოდში თბილისის ყველა უბანში, 2019 წლის დონესთან შედარებით, 2021 და 2022 წლებში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი როგორც ტრანზაქციების მოცულობა ასევე რაოდენობა.

**გრაფიკი 30.** ტრანზაქციების რაოდენობა ერთ ბარათზე\*



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი, 2023

\*გასათვალისწინებელია, რომ 2019 წელი იყო პრეპანდემიური წელი. პანდემიის დროს მრავალ სავაჭრო ობიექტში დაემატა ბარათით გადახდის ტერმინალები, 2019 წელთან შედარებით 2021 და 2022 წლებში მაჩვენებლების ზრდების გარკვეული ნაწილი შესაძლოა ამ ფაქტორით იყოს განპირობებული



# საბაზრო ფაქტორები

## შინამეურნეობების დანახარჯები და შემოსავლები

განათლებაზე მოთხოვნის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია შეფასდეს შინამეურნეობების შემოსავლების და დანახარჯების ცვლილება, რათა განისაზღვროს რა გავლენას ახდენს განათლების ღირებულების ზრდა მოთხოვნაზე.


შინამეურნეობის დანახარჯები განათლებაზე ზრდადი ტრენდით ხასიათდება. ამავდროულად, განათლების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში იზრდება და 2021 წელს 2.6% შეადგინა.

ანალიზიდან ჩანს, რომ საშუალო თვიური შემოსავალი ერთ შინამეურნეობაზე მზარდია და 1454 ლარი შეადგინა 2022 წელს, რაც 19%-ით აღემატება წინა წლის


მაჩვენებელს.

კერძო სკოლებზე ხელმისაწვდომობის უფრო ზუსტი შეფასებისთვის საინტერესოა შინამეურნეობის საშუალო შემოსავლის შედარება კერძო სკოლების საფასურთან. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საშუალოდ ქართული ოჯახი თავისი შემოსავლის დაახლოებით 37%-ს ხარჯავს კერძო სკოლის გადასახადში. ბოლო 5 წლის განმავლობაში, ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო 2020-პანდემიურ წელს, ხოლო ბოლო ორი წელი კლებადი ტრენდით გამოირჩევა. იქედან გამომდინარე, რომ სწავლის საფასური არ შემცირებულა, კერძო სკოლებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა გაზრდილი შემოსავლებით აიხსნება.

გრაფიკი 31. შინამეურნეობების დანახარჯები განათლებაზე, მლნ. ლარი



გრაფიკი 32. საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე



# საბაზრო ფაქტორები

## კერძო სკოლების ფასები

კერძო სკოლების ფასზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: სასწავლო გეგმა, სპეციალიზებული პროგრამები, პერსონალი, კლასის ზომა, ინფრასტრუქტურა, მდებარეობა, მეტად პერსონიზირებული ყურადღება მოსწავლეებზე.


2023 წელს საქართველოში კერძო სკოლების საშუალო ფასია 6 500 ლარი. სკოლების გადასახადი მზარდია და დაახლოებით 10%-ით გაიზარდა 2022 წელთან შედარებით.

ყველაზე მეტი სკოლა საშუალო საფასო კატეგორიაშია და საშუალო ფასიანი კერძო დაწყებითი სკოლები, როგორც წესი, უფრო დიდია, უკეთესი ინფრასტრუქტურით, უფრო ფართო და სპეციალიზებული პროგრამებითა


და აქტივობებით. კერძო სკოლების დაახლოებით 15% ვარდება პრემიუმ სკოლების კატეგორიაში სადაც წლიური ფასები 8 000 ლარიდან იწყება.

კერძო სკოლებზე მოთხოვნის შესაფასებლად საინტერესოა შემოსავლების სხვადასხვა ჯგუფების წონებზე დაკვირვება წლების მიხედვით. შემოსავლების ჯგუფების მონაცემები აჩვენებს, რომ მოსახლეობის თითქმის 65%-ის ყოველთვიური შემოსავალი ნაკლები იყო 1200 ლარზე, ხოლო 35% იღებდა 600 ლარზე ნაკლებს. თუმცა, 2022 წელს შემოსავლების განაწილება, როგორც ჩანს, გაუმჯობესდა, რადგან თვეში 1200 ლარზე ნაკლებს მიმღები ფიზიკური პირების წილი 53%-მდე შემცირდა.

გრაფიკი 33. კერძო სკოლების განაწილება საფასო კატეგორიების მიხედვით



გრაფიკი 34. სხვადასხვა შემოსავლის მქონე ჯგუფების წილი (ლარი)



წყარო: შემოსავლების სამსახური, თბისი კაპიტალი, 2023


# ფინანსური ინდიკატორები

## კერძო სკოლები

კერძო სკოლების ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით, მათი შემოსავლები მნიშვნელოვნად იზრდებოდა 2018-2021 წლების პერიოდში. 2021 წლის ბოლოსთვის, ჯამურმა წლიურმა შემოსავალმა 176 მილიონ ლარს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ შესაბამის პერიოდში ბაზარზე კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა არ გაზრდილა, აქედან გამომდინარე, მეტად სავარაუდოა, რომ აღნიშნული ზრდა მეტწილად გამომწვეული უნდა იყოს მზარდი ყოველწლიური საფასურით.

განალიზებულ პერიოდში, კერძო სკოლების საშუალო EBITDA მარჯაუ სტაბილურია, თუმცა 2020 წელს მარჯამ 25%-ს მიაღწია, რაც აღნიშნულ პერიოდში სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის შედეგად შემცირებული საოპერაციო ხარჯებით აიხსნება.


გრაფიკი 35. კერძო სკოლების ჯამური შემოსავალი\* (მლნ ლარი)




2020 წელს წმინდა მოგების მარჯაუ 13%-დან 10%-მდე შემცირდა. ეს ძირითადად განპირობებულია შედარებით დაბალი წმინდა მოგების მაჩვენებლით, რაც განაპირობა სხვადასხვა არასაოპერაციო ხარჯის ზრდამ, როგორცაა რიგ შემთხვევებში ვალუტის კურსის ცვლილების უარყოფითი გავლენა. 2021 წელს გაზრდილი წმინდა მოგების შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებელი მაღალ ნიშნულს, 18%-ს დაუბრუნდა.

წმინდა მოგების შემცირებასთან ერთად, 2020 წელს კერძო სკოლების მიერ გაიზარდა ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, რამაც გაზარდა ჯამური აქტივები და საკუთარი კაპიტალი. შედეგად, 2020 წელს შემცირდა ROA (5%) და ROE (10%). 2021 წელს გაზრდილი წმინდა მოგების შედეგად, აღნიშნული მაჩვენებლები დაუბრუნდნენ პანდემიამდელ დონეს, 10%-სა და 19%-ს, შესაბამისად.

გრაფიკი 36. კერძო სკოლებში მოსწავლეების რაოდენობა და ჯამური შემოსავლის წლიური ზრდა ('000, %)\*\*



გრაფიკი 37. საქართველოში კერძო სკოლების მომგებიანობის მაჩვენებლები



\*შენიშვნა: ანალიზი არ მოიცავს IV კატეგორიის ფირმებს  
წყარო: რეპორტალი, 2023

# ფინანსური ინდიკატორები

## კერძო სკოლები

ფინანსური მდგომარეობის ანალიზისთვის, ასევე მნიშვნელოვანია ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება.


მიმდინარე კოეფიციენტი, რომელიც ლიკვიდურობის ინდიკატორია, 2018-2021 წლების პერიოდში მზარდია, 2021 წელს კი მაჩვენებელმა 1.72-ს მიაღწია. კოეფიციენტის ზრდა ძირითადად გამომწვეულია ფულადი აქტივების ზრდით, რომელიც როგორც სწავლის გაზრდილი საფასურის, ასევე 2020 წელს შემცირებული საოპერაციო ხარჯების შედეგია.

აღნიშნულ პერიოდში ასევე იზრდებოდა ჯამური სესხების ღირებულება, რამაც 2021 წელს დაახლოებით 106 მილიონი ლარი შეადგინა. გაზრდილი სესხების შესაბამისად, ასევე იზრდებოდა საპროცენტო ხარჯი, შედეგად EBITDA-ს საპროცენტო ხარჯი შემცირდა. პანდემიამდე აღნიშნული მაჩვენებელი 13.12-ს შეადგენდა, თუმცა 2021 წელს ის 8.68-ს გაუტოლდა.

ბიზნესის მიერ სესხის უტილიზაციის გაზრდა მენეჯმენტისა და ბიზნესის მფლობელების მხრიდან სამომავლო ბიზნეს აქტივობების მიმართ პოზიტიურ მოლოდინებს ასახავს, განსაკუთრებით როცა პარალელურად ფიქსირდება მაღალი მიმდინარე კოეფიციენტი და მომგებიანობის მაჩვენებლები. სესხების ნაწილი ძირითადად მიმართულია სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ, რასაც სამომავლოდ დადებითი შედეგი უნდა ჰქონდეს როგორც კერძო სკოლებზე მოთხოვნაზე, ასევე მათ შემოსავლებზე.

კრედიტუნარიანობის მაჩვენებელი - სესხი აქტივებთან - მიუთითებს, რომ საშუალოდ კერძო სკოლების აქტივების უმეტესს ნაწილს საკუთარი კაპიტალი შეადგენს. სესხის ზრდის მიუხედავად, სესხი აქტივებთან 2019 წლიდან 0.39-დან 2020 წელს 0.37-მდე, ხოლო 2021 წელს 0.32-მდე შემცირდა. აღნიშნული კლება აქტივების ზრდით იყო გამომწვეული.

გრაფიკი 38. საქართველოში კერძო სკოლების ლიკვიდურობისა და კრედიტუნარიანობის მაჩვენებლები\*



\*შენიშვნა: ანალიზი არ მოიცავს IV კატეგორიის ფორმებს

# ბაზრის ზომა

## კერძო სკოლები

საქართველოს განათლების სექტორი მზარდია ბოლო წლების განმავლობაში.

ზრდა მცირედით შეფერხდა 2020 წელს, რაც კანდემიით და შემცირებული მოთხოვნით აიხსნება, თუმცა არ შემცირებულა არც სახელმწიფოს დანახარჯები სკოლებზე და არც კერძო სკოლების შემოსავლები.

2019 წლიდან 2021 წლამდე მთლიანად სექტორის ზრდამ შეადგინა 26%, სადაც კერძო სექტორი და სახელმწიფოს თითქმის თანაბრად იზრდებოდა, 33% და 25%-იანი ზრდა კერძო და სახელმწიფო სექტორის, შესაბამისად.


უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე მზარდია და განსაკუთრებით

იზრდება სკოლების დაფინანსება, 2023 წელს 14%-ით გაიზარდა 2022 წელთან შედარებით. სკოლების წილი მთლიან ბიუჯეტში ყველაზე მაღალია და ბოლო წლებში მთლიანი დანახარჯების 66-69%-ს შეადგენს.

დაანონსებულია სახელმწიფო დანახარჯების ზრდა ზოგად განათლებაში, ყოველწლიურად 2030 წლამდე, რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდის ბაზრის ზომას.

სავარაუდოა, კერძო სკოლების ჯამური შემოსავალი ზრდის ტრენდს შეინარჩუნებს 2023-2024 წლებშიც, თუ გავითვალისწინებთ გაზრდილ მოთხოვნასა და მზარდ ყოველწლიურ საფასურს. მოსალოდნელია, რომ კერძო სკოლების შემოსავლები 2024 წლისთვის 300 მილიონ ლარს მიუახლოვდება.

გრაფიკი 39. სახელმწიფო დანახარჯები და კერძო სექტორის მთლიანი შემოსავლები (მლნ. ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქსტატი, თიბისი კაპიტალი, 2023

## სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართულია ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იწყობენ ან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამოზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს უკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განახლოონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაწილს და უცნობ რისკებს, შეწყობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტორი შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუთაა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განაცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. შესაძლოა მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რუპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოსატყუარ ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე



თიბისი კაპიტალი

[www.tbccapital.ge](http://www.tbccapital.ge)